

წრფივი შეუღლებების ერთგვაროვანი ამოცანის განსაკუთრებული შემთხვევა კარლემან-ვეკუას განტოლებისათვის

ვალერიან ჯიქია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

გამოკვლეულია წრფივი შეუღლებების ერთგვაროვანი ამოცანის განსაკუთრებული შემთხვევა კარლემან-ვეკუას განტოლებისათვის, როცა სასაზღვრო პირობაში მონაწილე $G(t)$ ფუნქციას აქვს ნულები და პოლუსები სასაზღვრო წირის ზოგიერთ წერტილებში. დადგენილია ამ ამოცანის ზოგადი ამონახსნის ფორმულა. ეს ამოცანა შესწავლილია როგორც რეგულარული, ასევე არარეგულარული განტოლებებისათვის, რომელთა კოეფიციენტები ეკუთვნიან საკმარისად ფართო ფუნქციათა კლასებს.